



# ონის მუნიციპალიტეტის მერია

## ონის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

ქ. ონი



N 1975  
26/08/2019

1975-02-4-201908261127



**„ონის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან , საქართველოს მთის ფონდიდან განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების, სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენისათვის საჭირო და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარამდე ღირებულების სამშენებლო/სარემონტო სამუშაოების ინსპექტირებისა და მონიტორინგის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ონის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 15 აპრილის N815 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“- ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. შევიდეს ცვლილება „ონის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს მთის ფონდიდან განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების, სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენისათვის საჭირო და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარამდე ღირებულების სამშენებლო/სარემონტო სამუშაოების ინსპექტირებისა და მონიტორინგის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ ბრძანებაში, კერძოდ: სამუშაო ჯგუფს დროებით წევრად დაემატოს მარიამ გობეჯიშვილი- მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი და მასვე დაეკისროს მაია ჭარბაძის-სამუშაო ჯგუფის მდივნის, შევებულებაში ყოფნის პერიოდში, მდივნის მოვალეობის შესრულება.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს თანახმად.

ემზარ საბანაძე



მუნიციპალიტეტის მერი

.